# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 200. | ხუთშაბათი 11 მარტი 1904 წ. | გაზეთის № 2434.

***

კავკასიის მთას, ნისლით მიმოცულს,
ჩასძინებია, ვით მოღლილ დარაჯს,
განთიადი კი კრთოლა ღიმილით
მის მწვერვალიდან იძლევა სალამს.

დასავლეთისკენ გადადის მთვარე,
მიდის, მიცურავს, მიიპარება:
ხან ცის ლაჟვარში ამოჰყოფს თავსა,
ხან შავს ღრუბლებში მიიმალება.

ტრიალ მინდორზე მიჰქრის ნიავი,
ყინვის ნაპერწკლებს აბნევს ჰაერში;
ცივა გულშიაც, ცივა გარშემო,
ოჰ, გაიყინა სისხლი ძარღვებში!

გაძარცულ ტყიდან თითქოს მომესმის,
კვნესა, ქვითინი ფიჭვ-ნაძვნარისა,
გაცივდა გული, ეს ხომ ხმა არის,
საფლავებიდან მეგობრებისა...

მდინარე ბორკილს შეუჯაჭვნია,
შეუჯაჭვნია, თითქოს ციხეში;
მხოლოდ ნიავი მყინვარ მთებისა
მიჰქრის და მოჰქრის არე-მარეში.

ძმავ, მეგობრებო, თქვენსა სამარეს,
უდროოდ გათხრილს დაცქერის მთვარე,
მხოლოდ ტირილი ვერ გაუბედავს,
გაჩუმებულა სამშობლო მხარე.

იმის მაგიერ მკაცრი ნიავი,
უძეგლო საფლავს ელამუნება
და შავ ღრუბლებით წამოგრაგნილი
მიყუჩებულა თვითონ ბუნება.

მომეცით ცრემლი ამ წყვდიად ღამეს,
რომ თვით ცრემლები მე დავიტირო,
სამშობლოს გულიც დავდვა კვარცხლბეკზე
და ვით მანანა იმათ შევწირო.

მაგრამ წყვდიადი, მხოლოდ წყვდიადი,
მაძლევს მე პასუხს გულ-გასაგმირსა
და შავს ღრუბლებში თრთის განთიადი,
ვით მსხვერპლი ზაკი გველეშაპისა.

ი. ევდოშვილი.

# კაცი კოლოფში

ა. ჩეხოვისა

სოფელ მირონოსიცკის ბოლოში, სტაროსტა პროკოპის სარაიაში, ღამის გათევა მოუხდა ორს დაგვიანებულს მონადირეს: ბეითალს ივან ივანიჩს და გიმნაზიის მასწავლებელს ბურკინს. ივან ივანიჩს რაღაც საოცარი და ორნაირი გვარი ჰქონდა—ჩიმშა-გიმალაისკი, რომელიც სრულებით არ უხდებოდა, რის გამოც მთელს გუბერნიაში თავის და მამის სახელით იხსენიებდნენ. ის ქალაქს ახლო სცხოვრობდა და ახლა სანადიროდ წამოსულა მხოლოდ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად. გიმნაზიის მასწავლებელი ბურკინი კი ყოველ ზაფხულობით ესტუმრებოდა ხოლმე აქაურს გრაფებს პ-სრის გამოც ამ ადგილებში კარგად იცნობდნენ.

მონადირეებს არ ეძინათ. ივან ივანიჩ მაღალ-მაღალი და გამხდარი მოხუცი გრძელის ულვაშებით გარედ კარებთან იჯდა და ჩიბუხს სწევდა, ხოლო ბურკინი შიგნით თივაზედ იწვა და ბნელაში არა სჩანდა. ისინი სხვა-და-სხვა საგნებზედ საუბრობდნენ. სხვათა შორის ჩამოაგდეს ლაპარაკი იმაზე, რომ სტაროსტის მეუღლე, მავრა, თუმცა ჯანმრთელი და სულელი ადამიანი არ არის, მაგრამ მთელ სიცოცხლეში თავის სოფელს არ გასცილებია და ისეთი სანახავიც კი, როგორიც, მაგალითად, ქალაქია, რკინის გზა და სხვა, არ უნახავს. ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ის სულ ბუხართან იჯდა და მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიოდა ქუჩაში.

— მერე რა არის აქ გასაკვირველი?—სთქვა ბურკინმა:— განა ცოტაა ამ ქვეყნად ისეთი ხალხი, რომელიც ბუნებით განმარტოებულია და, ვით განდეგილი, თვის ქერქში იმალება?!. შესაძლოა, ეს იყოს მოვლენა ატავიზმისა, ე. ი. დაბრუნება იმ დროისკენ, როდესაც კაცის წინაპარი არ იყო ჯერ საზოგადოებრივი ცხოველი და მარტოდ— მარტო თავის ბუნაგში სცხოვრობდა, ან და—ვინ იცის?— იქნებ ეს კაცის ხასიათის სხვა-და-სხვაობის შედეგია. მე არა ვარ ბუნების-მეტყველი და არც ჩემი საქმეა ამ გვარს საქმეებს შევეხო, მხოლოდ მსურს ვსთქვა ისა, რომ იმ გვარი ხალხი, როგორიც მავრაა, არ არის იშვიათი მოვლენა. აი თუნდა, რა შორს წავიდეთ, ამ ორი თვის წინად ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა ჩემი ამხანაგი, გიმნაზიაში ბერძნულის ენის მასწავლებელი, ბელიკოვი. თქვენც გაგებული გექნებათ, რასაკვირველია. ის შესანიშნავი იყო იმით, რომ ყოველთვის, კარგ დარიან დღეშიაც კი, მუდამ კალოშებით, ქოლგით ხელში და უსათუოდ დაბამბულის თბილის პალტოით გამოდიოდა გარედ. ქოლგა ბუდეში ჰქონდა, საათიც ზამშის ბუდეში უჯდა და დანაც ბუდეში ჰქონდა. სახეც თითქოს ბუდეშიაო, რადგან პალტოს საყელო მუდამ აწეული ჰქონდა, ამასთან ატარებდა ლურჯ სათვალეებს, შიგნითი სათბილობელს და ყურებს ბამბით იცავდა. ეტლში ისე არ ჩაჯდებოდა, რომ ეტლის თავი არ წამოეხურებინა. ერთის სიტყვით, ისეთი კაციც, რომელსაც მუდმივი და აუცილებელი მისწრაფება ჰქონდა, გარემოეცო თავი გარეთი სახურავით, შეექმნა თავისთვის ეგრედ წოდებული კოლოფი, რომელსაც შესძლებოდა იმისი განმარტოება და დაფარვა ყოველ გარეგნულ ზეგავლენისაგან. სინამდვილე აშინებდა, აშფოთებდა და მუდამ თავს ზარსა სცემდა, იქნება იმისთვის, რომ გაემართლებინა თავისი სიმხდალე და სიძულვილი აწმყოსადმი; ის ყოველთვის აქებდა წარსულს და იმასაც კი, რაც არ შეიძლება, არც-კი მომხდარა. ძველი ენები, რომელსაც იგი ასწავლიდა, იგივე კალოშები და ქოლგა იყო, რომლებშიაც ნამდვილს ცხოვრებას ემალებოდა.

„ოჰ, რა წკრიალა, რა მშვენიერია ბერძნული ენა!“— ამბობდა გახარებულის გამომეტყველებით და, თითქოს თავის სიტყვის დასამტკიცებლადაო, თვალის მილულვით და თითის მაღლა აღებით წამოიძახებდა: ანთროპოს! ბელიკოვი სცდილობდა აგრეთვე თავისი აზრიც კოლოფში დაემალა. იმის-

თვის ცხადი იყო მხოლოდ ცირკულიარი და გაზეთის ის სტა-ტიები, სადაც იკრძალებოდა რამე. როდესაც ცირკულიარით ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ საღამოს ცხრა საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა, ან და რომელისამე სტატიით აკრძალული



ექიმი ბლიუმენტალი.

ჭლექი'ს წინააღმდეგ მებრძოლი.

იყო ხორციელი სიყვარული, იმისთვის ესა ცხადი და განსა-ზღვრული იყო; ნახა, რომ აკრძალულია, — მორჩა და გათავ-და. რისამეს გადაწყვეტა-ნებადართვის დროს იმას ხელს უშ-ლიდა იჭვიანობის ელემენტი, რაღაცა გამოურკვეველი და არეული რამ. როდესაც ქალაქში ნებასა რთავდნენ დრამა-ტიულს წრეს, ან სამკითხველოს ან და საჩაიეს აარსებდნენ, ის თავის ქნევით მძიმედ იტყოდა:

„ეგ კი ეგრეა, მაგრამ ვაი თუ აქედან გამოტყვრეს რამ“.

წეს-რიგის ყოველგვარ დარღვევას, უარის ყოფას და გზის აქცევას ბელიკოვი სასოწარკვეთილებაში მოჰყავდა, თუმცა კი, კაცს რომ ეკითხნა, რა ესაქმებოდა იმას? თუ ვინმე ამხა-ნაგთაგანი ეკლესიაში დაიგვიანებდა ან გიმნაზიის მოსწავლეე-ბის ცუდს საქციელს ყურს მოჰკრავდა ან და შებინდებისას



იაპონიის გემზე. ზარბაზანში ყუმბარების ჩადება.

კლასის დამას ავიცერთან ერთად მოსიარულეს ნახავდა, ძლიერ ღელავდა და სულ იმას გაიძახოდა:

„ვაი თუ გამოტყვრეს რამ?“

საპედაგოგიო ბჭობაზე ხომ მოსვენებას არ გვაძლევდა თა-ვის სიფრთხილით, იჭვიანობით და ნამდვილ კოლოფურის მოსა-ზრებით იმის შესახებ, რომ სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში ახალგაზდობა ცუდად იჭერს თავს, კლასებში ძრიელ ხმაუ-



კორეის სამხედრო მინისტრი თავის სახლობით.

რობს, ნეტავ ეს კი უფროსებმა არ შეიტყონ და სხვა ცუდი რამ არ გამოტყვრესო. ამასთან ინიქებდა, თუ მეორე კლასი-დან გამოვრიცხავთ პეტროვსა, ხოლო მეოთხიდან — ეგოროვს, მაშინ კარგი იქმნებაო. მერე რა გგონიათ? თავის ოხვრით, ლურჯ სათვალეებით მკრთალს და გამხდარს სახეზე, ყველას გვიყოლიებდა და ჩვენც პეტროვს და ეგოროვს ჯერ ყოფა-ქცევაში უკლებდით ნიშანს, შემდეგ ბნელ ოთახში ვამწყვ-დევდით და ბოლოს სრულებითაც ვრიცხავდით სასწავლებლი-დან. ბელიკოვს კიდევ ერთი საოცარი ჩვეულება ჰქონდა: ვერ



კორეის ჯარის გენერალი.

მოითმენდა, რომ ჩვენთან სახლში არ ევლო. მასწავლებელთან რომ მივიდოდა, ჩუმად იჯდა და თითქოს რაღასაც სინჯავდა. იჯდა ამგვარად ერთი-ორი საათი და შემდეგ მიდიოდა. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაპონიის ქვეითა ჯარის იერიში.



მუკდენი.—საიმპერატორო სასაფლაოს ეზო. (საკუთარის კორესპონდენტისაგან).



მუკდენი.—საიმპერატორო სასაფლაო შესავალი (საკუთარის კორესპონდენტისაგან.)



რუსის ჯარის-კაცები ადგილებს ზვერავენ კორეიაში.



მუკდენი.—იმპერატორის საფლავი, რომელზედაც ხე არის დარგული (საკუთარის კორესპონდენტისაგან).

გვარ ქცევას უწოდებდა „ამხანაგებთან კეთილ დამოკიდებულების დაცვას“ ცხადია, ჩვენთან მოსვლა და ჯდომა იმისთვის სამძიმო იყო, მხოლოდ მოდიოდა და ჯდებოდა იმისთვის, რომ ამას ამხანაგურ მოვალეობად სთვლიდა. ჩვენ, მასწავლებლებს, გვეშინოდა იმისი, რა ჩვენ!—თვით გიმნაზიის დირექტორსაც კი. რა გინდა ჰქმნა? ჩვენი მასწავლებ-

ლები, ტურგენიევსა და შჩედრინზე აღზრდილნი, მოაზრე და რიგიანი ხალხია, მაგრამ მუდამ კალოშებით და ქოლგით მოსიარულე კაცმა, ეს თხუთმეტი წელიწადია ხელში დაიჭირა გიმნაზია. განა მარტო გიმნაზია?—მთელი ქალაქი! შაბათო-

ბით ჩვენი ქალები ვერ ჰმართავდნენ შინაურს წარმოდგენებს, რადგან ეშინოდათ, ბელიკოვმა არ გაგვიგოსო. ამის წყალობით სასულიერო წოდებასაც ერიდებოდა მარხვაში სახსნილო საჭმლის მირთმევა და ბანქოს თამაში. იმ გვარ ხალხის ზეგავლენით, როგორიც ბელიკოვი იყო, ამ ათ-თხუთმეტის წლის განმავლობაში ყველაფრისა ეშინოდათ ქალაქში. შიშისა გამო ვერც ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ, ვერც რამეს კითხულობდნენ, ვერც საწყლებს შველოდნენ და ვერც წერა-კითხვას ასწავლიდნენ...

ივან ივანიჩს ჰსურდა კიდევ რამ ეთქვა, ჩაახველა, ჩიბუხს წაუკიდა და, შეჰხედა რა მთვარის შუქს, განაგრძო სვენებ-სვენებით.

— დიახ, მოაზრე და რიგიანი ხალხი თუმცა შჩედრინსა, ტურგენიევსა, ბოკლსა და სხვებს კითხულობდნენ, მაგრამ კიდევ მაინც ხომ მორჩილნი იყვნენ, ითმენდნენ.

— სწორედ რომ ეს ასეა.

— ბელიაკოვიც იმ ხალხში სცხოვრობდა, სადაც მე,— განაგრძო ბურკინმა:—იმავე სართულში, ისე რომ იმის სახლის კარები და ჩემისა ერთმანეთს გასცქეროდნენ. ჩვენც ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით და კარგადაც ვიცი იმისი შინაური ყოფა-ცხოვრება. სახლშიაც იგივე ისტორია იყო: ხალათი, იარახჩინი, ფანჯრის საკეტავები, მთელი რიგი რაიმე აკრძალულებათა, შევიწროებათა და „ვაი თუ რამე არ გამოტყვრესო!“ მარხვის საჭმელი საწყენია, მაგრამ მარხვაში სახსნილოს ჭამაც არ შეიძლება, რადგან, შესაძლოა, სთქვან,



ქალბატონი.—როგორ, შენც იმისთანა შლიაპა გიყიდნია, როგორიც მე? მაშ რაღა განსხვავებაა მე და შენს შორის?

მოსამსახურე.—ისა, რომ მე ნაღდი ფული მივეცი, თქვენ კი ნისიად წამოგიღიათ.



მხედარი (ცხენი წყლისკენ მიიწევს). ჰმ, ამ ოხერმა ჯერ ცხენოსნობაში გამომცადა და ახლა მგონია ცურაობაში უნდა გამომცადოს.

რომ ბელიკოვი მარხვას არ ინახავსო, ამიტომ იგი ერბოში მოხრაკულს თევზს მიირთმევდა—თუმცა სამარხო საჭმელი არ იყო ესა, მაგრამ არც ის შეგეძლოთ გეთქვათ, სახსნილოაო. სახლში მოსამსახურეთ ქალს არ იჭერდა იმ მოსაზრებით, რომ ცუდი რამ არ ეფიქრათ. მოსამსახურედაც და მზარეულადაც ერთი 60 წლის ჭკუა თხელი ათანასე ჰყავდა, რომელსაც სამხედრო სამსახურის დროს საყველ-პუროდ შეესწავლნა მზარეულობა. ეს ათანასე ჩვეულებრივად გულხელდაკრეფილი კარებთან იდგა და ყოველთვის ღრმა ოხვრით ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

„დღეს ამათგან ბევრმა მოიყარა თავიო“.

ბელიკოვის საწოლი ოთახი, თითქოს ყუთიაო, პატარა იყო, სადაც იდგა საწოლი ტახტი. დაწოლის დროს თავ-ფეხებიანად საბანში იმალებოდა; სახლში საშინლად ცხელოდა, დახურულს კარებს ქარი აწვებოდა და სამზარეულოდანაც საშინელი ოხვრა გამოდიოდა. საბანს ქვეშაც ბელიკოვს შიში თავსზარსა სცემდა. ეშინოდა, ვაი თუ რამ გამოტყვრესო: ან ათანასემ არ დამკლას ან და ქურდები არ შემომიცვივდნენ. შიშისა გამო ის მთელს ღამეს ცუდს სიზმრებსა ჰხედავდა. დილით, როდესაც ერთად გიმნაზიაში მივდიოდით, საშინლად მოწყენილი და ფერ-მკრთალი იყო, ემჩნეოდა, რომ მრავალ ხალხიანი გიმნაზიაც, სადაც მივდიოდით, იმისთვის საშიში და მთელ იმის არსებისთვის საზიზღი იყო. აგრეთვე სამძიმო იყო ჩემთან სიარული იმ კაცისთვის, რომელიც ბუნებით განმარტოვებულია. „ძრიელ ხმაურობენ კლასში“, ამბობდა, თითქოს სცდილობდა ახსნა რამ ეპოვნა თავის მძიმე გრძნობისთვის,—„ეს არაფერს არა ჰგავსო“.

გლახა ხუცესი.

(შემდეგი იქნება)



1-ლი მაყურებელი. ღმერთო ჩემო, სად ატოცებულან! რომ გადმოიჩეხონ!

2-რე მაყურებელი. ნუ გეშინიანთ, ერთი მღებარია და მეორე სახლის მხურავი; ესენი მარტო იქა ჰზედავენ თავიანთ ცოლებზე თავისუფლად ლაპარაკს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. цен. Тифлисъ, 10 Марта 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა.